სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№01-04|49 ბრძანება 30.06. 2020 წ.

2020-2021 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების, სასწავლო პროცესის ორგანიზებული წარმართვის ღონისძიებათა შესახებ

2020-2021 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების, სასწავლო პროცესის ორგანიზებული წარმართვის მიზნით **ვბრძანებ:**

1. სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის N65, N66 (18/19), 2020 წლის 6 მაისის N48 (19/20) დადგენილებები, 2019-2020 სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო დატვირთვების განსაზღვრის თაობაზე გამოცემული ყველა ნორმატიული აქტი.

2. ფაკულტეტების დეკანებმა:

- დეკანატის **განკარგულებით** სტუდენტთა არსებული სტატისტიკის საფუძველზე განსაზღვრონ და დაამტკიცონ შიგასაფაკულტეტო ნაკადები. ამასთან უზრუნველყონ დეპარტამენტების ხელმძღვანელებზე მათი მიწოდება **2020 წლის 04.07 -მდე;**

-დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან ერთად დამატებით განიხილონ აწსუ-ს **2019 წლის 19.02. N01-05/148** ბრძანებით დამტკიცებული კოდების შესაბამისობა მიმდინარე ეტაპზე;

-უზრუნველყონ დეპარტამენტების საერთო და ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების წარდგენა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში პირველადი განხილვისათვის **2020 წლის 20 ივლისამდე.**

3. ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა :

- შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად გადაამოწმონ 2020-2021 სასწავლო წლის კურსების სასწავლო გრაფიკებისა და აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების სრული შესაბამისობა. ამასთან, სათანადო შეთანხმებისა და ხელმოწერით დადასტურებული კურსების სასწავლო გრაფიკები მონიტორინგისათვის წარადგინონ აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში **2020 წლის 7 ივლისამდე.**

4. ფაკულტეტების დეკანებმა დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყონ ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების სრული დაცვა:

4.1. პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების შედგენისას გაითვალისწინონ, რომ როგორც წესი, ლექციის წაკითხვის უფლება

ეძლევათ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას დეპარტამენტის შუამდგომლობის, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებისა და რექტორის თანხმობით;

4.2. იმ შემთხვევაში, როდესაც დეპარტამენტის ყველა წევრს აქვს მაქსიმალური დატვირთვა და საერთო სასწავლო დატვირთვის მოცულობა აჭარბებს დეპარტამენტის წევრების ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების ნორმით დადგენილი მოცულობის ჯამს, შტატის ზემოთ შესრულებული საათები ანაზღაურდება საათობრივად აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივის შესაბამისად;

4.3. შტატის ზემოთ დარჩენილი სამუშაოს შესასრულებლად შესაძლებელია დეპარტამენტის შტატიანი წევრის საათობრივი წესით მოწვევა ერთი სასწავლო წლის ვადით. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც შტატით მომუშავე აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა არ არის მაქსიმალური, მაგრამ წასაკითხია ისეთი სასწავლო ან სპეციალური კურსი, რომლის ჩატარება დეპარტამენტის წევრებს არ შეუძლიათ, დასაშვებია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა საათობრივი ანაზღაურებით აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნების დაცვით.ამ ფორმით შესრულებული სამუშაოს დაფინანსება გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი **ფაკულტეტის ხარჯვითი ლიმიტიდან;**

4.4 ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად გარეშე პირთა მოწვევა დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს სასწავლო კურსის სპეციფიკა, ფაკულტეტის დეკანის (გამყარებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით) დასაბუთებული შუამდგომლობით და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობით. მათი დაფინანსება განხორციელდეს შესაბამისი **ფაკულტეტის ხარჯვითი ლიმიტიდან;**

4.5. პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარების, სასწავლო, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკების ხელმძღვანელობის უფლება ეძლევათ აწსუ-ს სასწავლო- დამხმარე პერსონალის შემდეგ კატეგორიებს:

ა) იმ თანამშრომლებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი ან არიან აწსუ-ს დოქტორანტები;

ბ) საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტებს, რომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდება აწსუ-ში დადგენილ პედაგოგთა საათობრივი ანაზღაურებით მოწვევის წესის მიხედვით;

გ) შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე იმ სასწავლო დამხმარე პერსონალს, რომლებიც ვერ ხვდებიან ამ ბრძანების 4.5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიაში, მაგრამ რომელთა მიმართ არსებობს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობა (გამყარებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით) და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობა. მათი საათობრივად მოწვევის ბრძანება გაფორმდეს აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივების მიხედვით;

დ) ამ ბრძანების 4.5 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობებისაგან განსხვავებული შემთხვევების არსებობისას, რომელთა მიმართ იარსებებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობა (გამყარებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით) და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობა. დაფინანსება მოხდეს შესაბამისი ფაკულტეტის ხარჯვითი ლიმიტიდან.

ე)**დაიცვან** და **უზრუნველყონ** ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების განაწილების თანმიმდევრობა: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, მასწავლებელი, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტი;

4.6. შიდა საუნივერსიტეტო შეთავსების კანდიდატთა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოსაწვევ პედაგოგთა საბოლოო სიები დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით წარადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში არა უგვიანეს **2020 წლის 8 სექტემბრისა.**

5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (ასოც. პროფ. თეა კორძაძე):

5.1. **2020 წლის 10 ივლისამდე** უზრუნველყოს პროგრამების ხელმძღვანელების მიერ წარდგენილი კურსების სასწავლო გრაფიკების შესაბამისობის დადგენა არსებულ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

ამავე ვადაში აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული აკრედიტებული უკვე შემოწმებული და ხელმოწერილი კურსების სასწავლო გრაფიკები, საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული ვერსია და ფიზიკურის სახით მიაწოდოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო -მეთოდურ განყოფილებას;

5.2. საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსების სასწავლო გრაფიკების შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა დააკისროს საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს.

6. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა (უფროსი პროფ. ი. ბასილაძე)

6.1. **2020 წლის 1 ივლისამდე** უზრუნველყოს დეპარტამენტები შესაბამისი სასწავლო რეკვიზიტით:

6.2. ფაკულტეტების დეკანატებისა და დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მონაცემების მონიტორინგის საფუძველზე განსაზღვრონ 2020-2021 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მოცულობის დადგენა და დამტკიცება.

6.3. წარმოდგენილი და გადამოწმებული დატვირთვების შესაბამისად მოხდეს აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, ხელშეკრულებით, საათობრივად მოსაწვევ სპეციალისტთა სათანადო დოკუმენტაციის მომზადება

7. კანცელარიის უფროსმა (ეთერ ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც.პროფ.თეა ვალიშვილი) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე.

8. კონტროლი აღნიშნული ბრძანების პრაქტიკულ განხორციელებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

საფუძველი: აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებები: 2019 წლის 10 ივნისის N 65, N 66 (18/19), 2019 წლის 12. სექტემბრის №2 (19/20), 2020 წლის 6 მაისის N48 (19/20); აწსუ-ს ბრძანებები: 2016 წლის 25.02. №01-04/8; 2019 წლის 19 ივლისის №01-04/51 (№,970789), 2019 წლის 7 ნოემბრის №01-04/86;

რექტორი — პროფესორი როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი — პროფესორი იმერი ბასილაძე